ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4185769

ნომერი: AR1628931

თარიღი : 06.09.2018

გაცემის თარიღი : 25.09.2018

გაცნობის თარიღი : 05.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გმირი კურსანტების ქუჩის II შესახვევი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ჩხაიძე პ/ნ 01011006784
- თბილისი IV მელაანის ქ. N 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 6 სექტემბრის №4155254 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 6 სექტემბერს №AR1628931 განცხადებით მომართა ლევან ჩხაიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 6 სექტემბრის №4155254 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ნებართვის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 6 სექტემბრის №4155254 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის II შესახვევი N7, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.11.05.031.002), ხორცპროდუქტების ქარხანა, ოფისის, კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 9 სექტემბრიდან 2018 წლის 9 ივლისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: ,,მშენებლობის ნებართვა განისაზღვროს 2018 წლის 9 სექტემბრიდან 2019 წლის 9 ივლისის ჩათვლით'' ნაცვლად მიეთითა ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 9 სექტემბრიდან 2018 წლის 9 ივლისის ჩათვლით''.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2018 წლის 27 ივლისის №AR1616087 განცხადებაზე დართული სამუშაოების კალენდარული გრაფიკის მიხედვით, მშენებლობის მოქმედების ვადა სამსახურის 2018 წლის 6 სექტემბრის №4155254 ბრძანებით უნდა განსაზღვრულიყო 10 თვით, მაგრამ ტექნიკური შეცდომის შედეგად განისაზღვრა არასწორად, შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 6 სექტემბრის №4155254 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე ლევან ჩხაიძის 2018 წლის 6 სექტემბერის №AR1628931 განცხადება.
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 6 სექტემბრის №4155254 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მშენებლობის ნებართვა განისაზღვროს 2018 წლის 9 სექტემბრიდან 2019 წლის 9 ივლისის ჩათვლით''.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 6 სექტემბრის №4155254 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.